ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N169
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი „24“ სექტემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ
ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური”ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519.
დირექტორი რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
ი/მ ” მარინა საჯაია ” ს/კ 42001007404;
მისამართი: ქ. ფოთი, რეკვავას ქ. № 3/1, ტელ: 555 411 144
საბანკო რეკვიზიტი: სს **„თიბისი ბანკი”** ბ/კ TBCBGE 22; ა/ა **GE45TB7785736010100010** (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1„მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველ“–ს მიაწოდოს საქონელი ჩამონათვლის შესაბამისად:

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება
1	09200000	ზეთი TNK/ROSNEFT 20W50 DIESEL M.CD 180	ლიტრი	205	6.20	1271.00
2	09200000	4 10W30 ზეთი ENEOS EU0037301	ლიტრი	20	22.00	440.00
3	09200000	ზეთი ტრანსმისიის 80W90 1	ლიტრი	10	12.00	120.00
4	09200000	ზეთი ძრავის MN Outb.Marine TC-W3 1L	ლიტრი	10	22.00	220.00
5	09200000	ზეთი ტრანსმისიის ATF-2	ლიტრი	4	10.00	40.00
6	24963000	ჟანგის გამხსნელი mannol	ცალი	2	10.00	20.00
7	42913300	ზეთის ფილტრი (კატამარანისთვის)	ცალი	4	10.00	40.00
		სულ				**2151.00**

2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2151.00 (ორიათასასორმოცდათერთმეტი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3 საქონლის მიწოდების ვადები
3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2018 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.
4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა
4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით.

9.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9.4 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

10. უფლებების გადაცემა

10.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

შემსყიდველის მხრიდან:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: **რევაზ ბაბილუა**

მიმწოდებლის მხრიდან:

ი/მ „მარინა საჯაია: **მარინა საჯაია**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ვადასტურებ, რომ 2018 წლის 24 სექტემბრის N 169 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს:

მატერიალურ-ტექნიკური მომმარაგებელი: ზ. მარკელია ზაზა მარკელია